ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №13

10.05.2018 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

16:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: ლევან ჯაფარიძე (კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი), თარაშ შურღაია, გიორგი დოხტურიშვილი, ლევან ხაბეიშვილი, ელენე ოზაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს წევრები:

1. **თინათინ ნიბლოშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. **ნიკოლოზ ქობულაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დირექტორის მოადგილე;
2. **ნიკოლოზ არაგველი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს წარმომადგენელი;
3. **ირაკლი ჭანტურია** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს წარმომადგენელი.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების 23-ე მუხლის, ასევე, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ივლისის №3-7 დადგენილების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის 2017 წლის 14 დეკემბრის სხდომის (ოქმი №4) გადაწყვეტილების

საფუძველზე, კომისიის თავმჯდომარის ბ-ნი ერეკლე კუხიანიძის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ბატონი ლევან ჯაფარიძე.

სხდომის თავმჯდომარე ბატონი ლევან ჯაფარიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

სხდომის დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ 2017 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის თაობაზე - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
საჯარო სამართლის იურიდიული პირის ცხოველთა
მონიტორინგის სააგენტო/

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს დღის წესრიგის საკითხი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ 2017 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის თაობაზე

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი წარმოადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დირექტორის მოადგილემ ბ-ნმა ნიკოლოზ ქობულაძემ.

მომხსენებლის (ნ. ქობულაძე) მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საანგარიშო პერიოდში (2017 წელი) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტომ, კომპეტენციის და უფლებამოსილების ფარგლებში, 132 საშტატო ერთეულის ძალებით, ჩაატარა შემდეგი ძირითადი სამუშაოები:

1. ცხოველებთან და ქვეწარმავლებთან დაკავშირებულ პრობლემატურ საკითხებზე, 112-ის მეშვეობით და წერილობითი განცხადებების საფუძველზე, სააგენტოში შევიდა 26 854 (ოცდაექვსი ათას რვაას ორმოცდათოთხმეტი) შეტყობინება, რომლებზეც უწყვეტ 24-საათიან რეჟიმში სააგენტოს სპეციალური მობილური ჯგუფების მიერ განხორციელდა შესაბამისი რეაგირება. შედეგად, მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვისა და ცხოველების პოპულაციების მართვის მიზნით, ურბანულ გარემოში დაჭერილი და მუნიციპალურ თავშესაფარში გადაყვანილია 6 730 ცხოველი და 438 ქვეწარმავალი. შესაბამისი მუნიციპალური ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგად, ცხოველთა მუნიციპალურ თავშესაფარში ქირურგიული ოპერაცია (სტერილიზაცია/კასტრაცია), იდენტიფიკაცია (საჭდით ან ყურის კუპირებით/ტატუირებით) და ანტირაბიული ვაქცინაცია ჩაუტარდა 3 440 ცხოველს;

2. უმეთვალყურეო ცხოველებთან დაკავშირებით მოსახლეობის მიერ განხორციელებული შეტყობინებებისა და მათ საფუძველზე სააგენტოს მიერ ჩატარებული რეაგირების ღონისძიებების შედეგების ანალიზი მიუთითებს თითქმის ყველა ძირითადი პარამეტრით მაჩვენებლების ზრდის ტენდენციებზე. ამასთან, 2017 წლის განმავლობაში მუნიციპალურ თავშესაფარში განხორციელებული მნიშვნელოვანი სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებით (თანამედროვე საკარანტინო სივრცე, ცხოველების გასასეირნებელი სივრცე, მოქალაქეთა მისაღები სივრცე, საკანალიზაციო სისტემის რეკონსტრუქცია-განახლება და სხვა) გამოწვეული შეფერხებების და რეაგირების რესურსების შეზღუდვის შედეგად, საანგარიშო პერიოდში ადგილი ჰქონდა რამდენიმე პარამეტრის მონაცემების შემცირებასაც. კერძოდ:

112-ზე და წერილობით შემოსული შეტყობინებების რაოდენობამ შეადგინა:

1) 2015 წელი - 12 911 ცხოველი და 968 ქვეწარმავალი;
2) 2016 წელი - 25 225 ცხოველი და 890 ქვეწარმავალი;
3) 2017 წელი - 25 953 ცხოველი და 901 ქვეწარმავალი.

შესაბამისად და პროპორციულად იზრდებოდა რეაგირების ღონისძიებების რაოდენობაც. კერძოდ, **დაჭერილი და თავშესაფარში გადაყვანილია:**

1) 2015 წელი - 5 679 ცხოველი და 320 ქვეწარმავალი;
2) 2016 წელი - 7 861 ცხოველი და 426 ქვეწარმავალი;
3) 2017 წელი - 6 730 ცხოველი და 438 ქვეწარმავალი.

გარდა ამისა, სააგენტოს მზარდი აქტივობის და წარმატებული საქმიანობის მაჩვენებლად საინტერესოა ისეთი ძირითადი და მნიშვნელოვანი პარამეტრების ანალიზი-შედარება, როგორიცაა:

ჩატარებული სტერილიზაცია-კასტრაციის ოპერაციების რაოდენობა:

1) 2015 წელი - 1 185 ოპერაცია (670 სტერილიზაცია და 515 კასტრაცია);

2) 2016 წელი - 3 981 ოპერაცია (1 898 სტერილიზაცია და 2 083 კასტრაცია);

3) 2017 წელი - 3 440 ოპერაცია (1 859 სტერილიზაცია და 1 581 კასტრაცია).

გაჩუქებული, მიკედლებული და ბინადრობის არეალში დაბრუნებული ცხოველების რაოდენობა:

1) 2015 წელი - 2 114 (შესაბამისად: გაჩუქებული - 503; მიკედლებული - 369; ბინადრობის არეალში დაბრუნებული - 1242);

2) 2016 წელი - 4 174 (შესაბამისად: გაჩუქებული - 678; მიკედლებული - 573; ბინადრობის არეალში დაბრუნებული - 2923);

3) 2017 წელი - 3 744 (შესაბამისად: გაჩუქებული - 426; მიკედლებული - 782; ბინადრობის არეალში დაბრუნებული - 2536).

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის №7-28 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესით“ დადგენილი, თავშესაფარში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების, ცხოველებს შორის გადამდებ სნეულებათა გავრცელების პრევენციის და მოქმედი უსაფრთხოების ნორმების მოთხოვნათა დაცვის მიზნით, ცხოველთა მუნიციპალური თავშესაფრის ტერიტორიის მიმდებარედ აშენდა და 2017 წლის სექტემბერში ამოქმედდა თანამედროვე სტანდარტების საკარანტინო ნაგებობა-სივრცე, რომელიც მოიცავს 24, ერთმანეთისგან სრულად იზოლირებულ (ფიზიკური, საჰაერო და საკანალიზაციო იზოლაცია) ვოლიერს. ახალი საკარანტინო ნაგებობის ამოქმედებამ ახალ საფეხურზე აიყვანა თავშესაფარში მიმდინარე სანიტარულ-ვეტერინარული და ჰიგიენური პროცესები, რამაც დაუყოვნებლივი შედეგი გამოიღო - მინიმუმამდე იქნა დაყვანილი თავშესაფარში შესული, ძირითადად, დაავადებული ცხოველებისგან სხვადასხვა საშიში დაავადებებისა და ინფექციების გავრცელების შესაძლებლობა.

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-93 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა პირუტყვის ყოფნის წესით“ დადგენილი, მუნიციპალიტეტის შესაბამის აკრძალულ ტერიტორიაზე უმეთვალყურეოდ მყოფი პირუტყვის სპეციალურ ადგილზე გადაყვანის ღონისძიებების უზრუნველყოფის მიზნით, მუნიციპალური თავშესაფრის ტერიტორიაზე აშენდა და 2017 წლის სექტემბრიდან ამოქმედდა ძაღლებისა და კატების განთავსების სივრცეებიდან სრულად იზოლირებული და დამოუკიდებელი, პირუტყვის (მსხვილფეხა, წვრილფეხა) დროებითი განთავსებისთვის სპეციალურად ადაპტირებული ინფრასტრუქტურა (სადგომები, მიმღები ბაქანი, კანალიზაცია, საკვების შენახვის

სივრცე), სადაც ყველა სტანდარტის დაცვით ხორციელდება პირუტყვის შესაბამისი განთავსება, მოვლა და კვება.

5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის №7-28 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესით“ დადგენილი, ცხოველების სათანადო პოსტოპერაციული ფიზიკური აქტივობის უზრუნველყოფის მიზნით, მუნიციპალური თავშესაფრის მიმდებარედ აშენდა და 2017 წლის სექტემბრიდან ამოქმედდა ცხოველების გასასეირნებელი ტერიტორია (600 მ2).

მომხსენებელმა ბ-ნმა ნ. ქობულაძემ ასევე ისაუბრა საანგარიშო პერიოდში სააგენტოს მიერ განხორციელებულ სხვა საქმიანობის თაობაზეც, მაგალითად, დედაქალაქის მოსახლეობისათვის სხვადასხვა ფასიანი სერვისის (მათ შორის, ცხოველების ტრანსპორტირების და იდენტიფიკაციის სერვისები) მიწოდების, ცხოველების მოვლა-პატრონობისა და პირუტყვის ყოლის წესების შესრულების მონიტორინგისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების თაობაზე.

მომხსენებლის მიერ წარდგენილი ინფორმაციის შემდეგ, სხდომა გაგრძელდა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

შეკითხვები დასვეს:

ბ-ნმა გ. დოხტურიშვილმა - მუნიციპალიტეტის შესაბამის აკრძალულ ტერიტორიებზე პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოფნისათვის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ადმინისტრაცული სახდელის (ჯარიმის) ოდენობის თაობაზე.

ბ-ნი გ. დოხტურიშვილის შეკითხვას უპასუხა ბ-ნმა ნ. ქობულაძემ, რომლის განმარტებით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით (საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 148-ე მუხლის მე-3 ნაწილი), მუნიციპალიტეტის შესაბამის აკრძალულ ტერიტორიაზე პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოფნისათვის გათვალისწინებულია ადმინისტრაციული სახდელი - ჯარიმის სახით, რომლის ოდენობაც შეადგენს 20 ლარს.

ცხოველთა მონიტორიგის სააგენტოს წარმომადგენლებმა დამატებით აღნიშნეს, რომ ჯარიმის ოდენობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ვითარებაში იქნა გამოვლენილი სამართალდარღვევა, მაგალითად, თუ ადგილზე იმყოფება პატრონიც, ასეთ შემთხვევაში, ჯარიმის ოდენობა განისაზღვრება 20 ლარით. ხოლო თუ პირუტყვი იმყოფება მეთვალყურეობის გარეშე, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი პირი (ამ შემთხვევაში, სააგენტოს უფლებამოსილი პირი) პირუტყვს გადაიყვანს სპეციალურ ადგილზე. ხოლო მესაკუთრეს პირუტყვი დაუბრუნდება მხოლოდ ჯარიმის, მისი სპეციალურ ადგილზე გადაყვანისა და მოვლა-

პატრონობის ხარჯების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ, რაც შეადგენს 100 ლარს.

აზრი გამოთქვა:

ბ-ნმა თ. შურღაიამ - ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანში როგორც მეთვალყურეობის ქვეშ, ასევე უმეთვალყურეო წვრილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვის (განსაკუთრებით ცხვრის ფარის) ყოფნის ფაქტების თაობაზე და აღნიშნა, რომ დავით აღმაშენებლის ხეივანი მდებარეობს ტურისტულ ზონაში და აუცილებელია მიღებული იქნას შესაბამისი ზომები.

ბ-ნმა გ. დოხტურიშვილმა, რომელმაც ისაუბრა მეცხვარეთა ასოციაციისთვის სახელმწიფოს მხრიდან დიდი შეღავათების დაწესების თაობაზე, მათ შორის, ცხვრის გადასაყვანი ტრასების გამოყოფისა და მოწყობის შესახებაც, რაც უნდა გამორიცხავდეს ქალაქის ტერიტორიაზე, აკრძალულ, განსაკუთრებით, ცენტრალურ ზონებში ცხვრის ყოლასა და გადაადგილებას. შესაბამისად, საჭიროა დედაქალაქში გამკაცრდეს მონიტორინგი ცხვრისა თუ სხვა პირუტყვის გადაყვანაზე.

ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დირექტორის მოადგილის ბ-ნი ნიკოლოზ ქობულაძის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებული სამართლებრივი აქტით, დედაქალაქის მასშტაბით გამოყოფილია ე.წ. მწვანე ზონები, სადაც შესაძლებელია წვრილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვის ყოლა და გადაყვანა. ასეთი ადგილებია, გლდანის ტერიტორიაზე, საბურთალოს რაიონში, დიღმის ტერიტორიაზე, მათ შორის, მოიაზრება აღმაშენებლის ხეივანიც. ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო უახლოეს პერიოდში აპირებს ინიციატივით მიმართოს საკრებულოს, რათა შეიცვალოს (შეიზღუდოს და გამკაცრდეს) ის მწვანე ზონები, სადაც დასაშვები იქნება პირუტყვის ყოლა.

შეკითხვა დასვა:

ბ-ნმა გ. დოხტურიშვილმა - უპატრონო ცხოველების (ძაღლების) თაობაზე.

უპატრონო ცხოველებთან (ძაღლებთან) დაკავშირებით, აზრი გამოთქვა:

ქ-ნმა ე. ოზაშვილმა, რომელმაც ისაუბრა უპატრონო ცხოველების (ძაღლის) მიერ ადამიანების დაკბენის ფაქტების შესახებ. ქ-ნმა ე. ოზაშვილმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის თებერვლის თვეში, გლდანის ტერიტორიაზე მის მცირეწლოვან შვილს თავს დაესახა უპატრონო ძაღლი და დაკბინა. ხოლო მეორე დღეს, იგივე შემთხვევა განმეორდა იმავე ტერიტორიაზე, ასევე უპატრონო ძაღლმა დაკბინა სხვა ბავშვი. ქ-ნი ე. ოზაშვილის განმარტებით, აღნიშნული ინციდენტის დამადასტურებელი ვიდეო ჩანაწერი შეუძლია მიაწოდოს სააგენტოს.

გარდა ზემოთქმულისა, ქ-ნმა ელენე ოზაშვილმა აღნიშნა, რომ ცხელი ხაზის ოპერატორთან დაკავშირებისას, მოპასუხე ოპერატორმა ოპერატიულად არ მოახდინა სათანადო რეაგირება და პირველ რიგში, მოითხოვა ვიდეო ჩანაწერის გაკეთება, რაც

მსგავს სიტუაციებში თითქმის შეუძლებელია გაკეთდეს, რადგან დაზარალებულს უწევს ერთი მხრივ, თავდაცვაზე ზრუნვა (აგრესიული ძაღლის მოგერიება), ხოლო მეორე მხრივ, ოპერატორის პასუხის მიხედვით, ევალება ვიდეო ან ფოტო გადაღება ძაღლის აგრესიულობის დასადასტურებლად, საბოლოო ჯამში, კი აღნიშნულ ინციდენტზე რეაგირება საერთოდ არ მომხდარა.

ბ-ნი თარაშ შურღაია დაეთანხმა ქ-ნ ე. ოზაშვილს და აღნიშნა, რომ მსგავსი ფაქტების შესახებ მასაც სმენია, რადგან მას, როგორც საკრებულოს მაჟორიტარ წევრს (დიდუბის რაიონის მაჟორიტარი (დიღმის მასივი)) მიმართავენ მოქალაქეები და სთხოვენ დახმარებას მსგავსი პრობლემების მოგვარებაში.

ბ-ნმა გ. დოხტურიშვილმა ისაუბრა ოპერატორების მიერ სწრაფი რეაგირების მიზნით, მოქალაქეთათვის დასასმელი შეკითხვების (მაგალითად, აგრესიული ძაღლების რაოდენობის დასახელება, ცხოველის ქცევის აღწერის მოთხოვნები და სხვა) შემცირების მიზანშეწონილობისა და სანაცვლოდ, ოპერატიული ღონისძიებების გატარების აუცილებლობის შესახებ (მაგალითად, ეკიპაჟის დროული გაგზავნა ადგილზე, საჭირო რჩევების მიცემა მოქალაქისთვის და სხვ.).

ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს წარმომადგენლების განმარტებით, მსგავს შემთხვევებში (ძაღლის მიერ ადამიანის დაკბენისას), ვიდეო ან/და ფოტო გადაღება კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული და ნებისმიერ შემთხვევაში, აუცილებელია სატელეფონო შეტყობინება შევიდეს 112-ში, რის საფუძველზეც ოპერატიული ჯგუფი გავა შემთხვევის ადგილზე და თუ დაზარალებულის ვიზუალური დათვალიერებით ვერ დადგინდება ძაღლის მიერ დაკბენის ფაქტი, სააგენტოს ოპერატიული ჯგუფი გამოიძახებს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფს, რომელიც დაადგენს დაკბენის ფაქტს და საჭიროების შემთხვევაში, დაზარალებულს აღმოუჩენს შესაბამის სამედიცინო დახმარებას. ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს წარმომადგენლებმა ასევე ისაუბრეს იმ პრობლემებზეც, რომელიც ოპერატორების კვალიფიკაციას შეეხება და აღნიშნეს, რომ სააგენტოს ინიციატივით იგეგმება ოპერატორების გადამზადება, მათი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ბ-ნმა ნ. ქობულაძემ ისაუბრა იმ შემთხვევებზეც, როდესაც მოქალაქეები სატელეფონო შეტყობინებით იძახებენ ოპერატიულ ჯგუფებს და ითხოვენ ტერიტორიიდან აგრესიული ძაღლის გაყვანას, ხოლო ადგილზე გასვლის შედეგად ძაღლის აგრესიულობა არ დგინდება. მისი განმარტებით, სააგენტოს 5 მობილური ჯგუფი მუშაობს გამოძახებებზე და მიმდინარე სამუშაო დღეს (10.05.2018წ.) 20 გამოძახებაზე უნდა მოხდინონ სათანადო და ოპერატიული რეაგირება, რაც საკმაოდ რთულია.

შეკითხვა დასვა:

ბ-ნმა თარაშ შურღაიამ - უპატრონო ძაღლებისთვის განმასხვავებელი ფერის „საჭდით“ (ბირკით) ყურის კუპირების თაობაზე და აღნიშნა, რომ ცხოველების

განმასხვავებელი „საჭდით“ (ბირკით) ყურის კუპირება ხდება ვაქცინაციის (მათ შორის, ანტირაბიული ვაქცინაციის) ჩატარების პერიოდის დადგენის მიზნით. შესაბამისად, მოქალაქეებმა როგორ უნდა დაადგინონ, როდის აიცრა ძაღლი და გასულია თუ არა ვაქცინაციის პერიოდი.

ბ-ნი ნ. ქობულაძის განმარტებით, აღნიშნული თემა ძალიან აქტუალური და პრობლემატურია, რადგან, მართალია, სააგენტოს ჩატარებული აქვს ცხოველთა აღწერა, მაგრამ, სამწუხაროდ, სხვადასხვა ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე (არასაკმარისი მატერიალური და ადამიანური რესურსი, მოქალაქეების მიერ ძაღლისთვის „საჭდის“ (ბირკის) მოხსნა), შეუძლებელია უკვე აცრილი ძაღლების მოძიება და იმის დადგენა, გასულია თუ არა ვაქცინაციის პერიოდი.

აზრი გამოთქვა:

ბ-ნმა გ. დოხტურიშვილმა, რომელმაც სხვადასხვა ევროპული ქვეყნების გამოცდილების გაზიარების (მაგალითად, GPS ყელსაბამით ძაღლების იდენტიფიცირების) წინადადებით მიმართა სააგენტოს წარმომადგენლებს.

ბ-ნი ნ. ქობულაძის განმარტებით, განვითარებული ქვეყნების პრაქტიკის გაზიარება შესაძლებელია, მაგრამ ბევრ სირთულესთანაა დაკავშირებული. მაგალითად, ასეთ ყელსაბამს სჭირდება მუდმივი კვების წყარო. გარდა ამისა, იმის გათვალისწინებით, რომ ხშირია ძაღლებისთვის „საჭდის“ (ბირკის) მოხსნის ფაქტები, შესაძლებელია, ყელსაბამები მოხსნან და გამოიყენონ სხვა დანიშნულებით, რაც შედეგის მომცემი არ იქნება და მატერიალურად დააზარალებს სააგენტოს.

აზრი გამოთქვა:

ბ-ნმა ლ. ჯაფარიძემ, ყველა პრობლემური საკითხის განხილვის მიზნით, საკრებულოსა და კომისიის წევრების, ასევე, ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს წარმომადგენლების მონაწილეობით სამუშაო შეხვედრის ორგანიზების აუცილებლობის თაობაზე. მისი წინადადებით, საჭიროა ერთი სამუშაო შეხვედრა დაეთმოს იმ პრობლემატურ საკითხებზე მუშაობას, რომელიც დღეს დგას დედაქალაქისა და ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს წინაშე.

შეკითხვა დასვა:

ბ-ნმა ლევან ჯაფარიძემ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მუშაობაში საკრებულოს წარმომადგენლის მონაწილეობის საკითხის შესახებ და აღნიშნა, რომ სააგენტოს ახალი ხელმძღვანელობის მოსვლამდე, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს წარმომადგენელიც. შესაბამისად, მეტი გამჭირვალობისა და ლეგიტიმურობის მიზნით, მიზანშეწონილია აღნიშნულ საქმიანობაში კვლავ ჩაერთოს საკრებულოს წარმომადგენელი.

ბ-ნი ნ. ქობულაძის პასუხის თანახმად, დასმულ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაციას არ ფლობს და აუცილებლად გაარკვევს, რა მიზეზით შეიცვალა ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის შემადგენლობა.

შეკითხვა დასვა:

ბ-ნმა ლ. ჯაფარიძემ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ ქვეწარმავლების (განსაკუთრებით, საშიში ქვეწარმავლების - გველების) გამოვლენისა და დაჭერის ღონისძიებების თაობაზე. კერძოდ, მოქალაქეთა შეტყობინებების გარეშე, სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება თუ არა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საჯარო სივრცეების (მაგალითად, ბაღები, სკვერები, გზაგამყოფი ზოლები) რეპელენტებით (ქვეწარმავლების საწინააღმდეგო საშუალებებით) დამუშავება.

ბ-ნი ნ. ქობულაძის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის №33-141 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ გაწეული ცალკეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის წესის“ მე-6[2] მუხლის თანახმად, სააგენტო ახორციელებს კერძო და/ან იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული ტერიტორიების რეპელენტებით (ქვეწარმავლების საწინააღმდეგო საშუალებებით) დამუშავებას დაწესებული საფასურის გადახდის შემთხვევაში. ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-56 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს წესდების“ მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, სააგენტოს კომპეტენციას განეკუთვნება მოსახლეობის დაცვა ადამიანისა და სხვა ცხოველებისათვის საფრთხის (აგრესიის ან/და საშიში დაავადებების) მატარებელი ცხოველებისგან და ქვეწარმავლებისაგან, ჰუმანური წესით მათი დაჭერა და შესაბამის ადგილებში გადაყვანა, განთავსება, გაშვება ან მოკვდინება (ევთანაზია). შესაბამისად, ოპერატიული რეაგირება ხორციელდება მხოლოდ შეტყობინების შემდეგ, ადგილზე გასვლითა და დათვალიერებით, რომელსაც ახორციელებენ სააგენტოს საკმაოდ მაღალკვალიფიციური თანამშრომლები (2 ეკიპაჟი). ხოლო თავად სააგენტო, იმის გამო, რომ არ აქვს საჭირო რესურსი, დამოუკიდებლად არ ახორციელებს მონიტორინგსა და საჯარო სივრცეების რეპელატებით დამუშავებას.

მომხსენებლის ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, დამატებითი შეკითხვები დასვეს:

ბ-ნმა ლ. ჯაფარიძემ, სააგენტოში შესული ზარების საფუძველზე ქვეწარმავლების გარკვეულ ლოკაციებზე (ე.წ. „ცხელი წერტილები“) არსებობის დადასტურების შემდგომ, პრევენციული ღონისძიებების განხორციელების თაობაზე.

ბ-ნმა გ. დოხტურიშვილმა - ქვეწარმავლების (გველის, განსაკუთრებით გიურზის) შხამსაწინააღმდეგო ვაქცინის (ანტიდოტის) თაობაზე. კერძოდ, ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოსთვის თუ არის ცნობილი, რაიონების მიხედვით, რომელ სამედიცინო

პუნქტებსა თუ დაწესებულებებში შეიძლება აღმოუჩნდეს დაზარალებულს პირველადი დახმარება და ჩაუტარდეს შხამსაწინააღმდეგო ვაქცინაცია.

ბ-ნმა თ. შურღაიამ - ქვეწარმავლის მიერ ადამიანის დაკბენის შემთხვევაში, კონკრეტულად რომელ უფლებამოსილ ორგანოს უნდა ეცნობოს შესაბამისი რეაგირებისა და პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით.

ბ-ნი ნ. ქობულაძის განმარტებით, ყოფილა შემთხვევა, როდესაც გამოძახების შემდეგ, ადგილზე დათვალირების შედეგად, სპეციალისტებმა ერთის მაგივრად რამდენიმე ქვეწარმავალი დაიჭირეს. ასევე, იყო შემთხვევა, როდესაც მანქანას ჩამოჰყვა გიურზა და მისი განეიტრალება ოპერატიულად განხორციელდა. დედაქალაქში ყველაზე აქტიური ადგილებია (ე.წ. „ცხელი წერტილები") კრწანისის რაიონში. ხოლო შხამსაწინააღმდეგო ვაქცინის თაობაზე აღნიშნა, რომ ინფორმაციას არ ფლობს და შესაძლებელია, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსგან წერილობით იქნას გამოთხოვილი ინფორმაცია იმ სამედიცინო პუნქტებისა თუ დაწესებულებების შესახებ, სადაც დაზარალებულს უტარდება ქვეწარმავლის (გველის) შხამსაწინააღდეგო ვაქცინაცია. ხოლო ქვეწარმავლის მიერ ადამიანის დაკბენის შემთხვევაში, დაზარალებულმა ან სხვა პირმა აუცილებლად უნდა დარეკოს 112-ში.

აზრი გამოთქვა:

ბ-ნმა ლ. ჯაფარიძემ და წინადადებით მიმართა დამსწრე საზოგადოებას, რომ უახლოეს პერიოდში შედგეს სააგენტოს ახალი ხელმძღვანელობის მიერ 2018 წლის პირველ და მეორე კვარტალში გაწეული მუშაობის ანაგარიშისა და დაგეგმილი ღონისძიებების მოსმენა.

ბ-ნმა ნ. ქობულაძემ აღნიშნა, რომ მოსახლეობაში ცხოველების მიმართ ჰუმანური დამოკიდებულების დანერგვის მიზნით, სააგენტო გეგმავს მუნიციპალურ თავშესაფარში მყოფი ცხოველების გასეირნების აქციის მოწყობას და გამოთქვა სურვილი, რომ აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღონ საკრებულოსა და კომისიის წევრებმაც. გარდა ამისა, ბ-ნმა ნ. ქობულაძემ ყურადღება გაამახვილა აღნიშნულ სფეროში არსებულ პრობლემებზე.

აზრი გამოთქვა:

ბ-ნმა გ. დოხტურიშვილმა და დახმარება შესთავაზა ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს, მის სამაჟორიტარო რაიონში (სამგორის რაიონის - მესამე მასივი) არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში (სულ: 7 სკოლა), ცხოველების მიმართ ჰუმანური დამოკიდებულების დანერგვის, მოვლა-პატრონობის წესების დაცვის აუცილებლობისა და ცხოველებისგან მომდინარე საფრთხეების თავიდან აცილების შესახებ საინფორმაციო-საგანმანათლებლო მუშაობის ხელშეწყობის მიზნით, შეხვედრების ორგანიზებაში.

ცხოველების (ძაღლების, კატების) პოპულაციების მართვის თაობაზე შეკითხვები დასვეს: ბ-ნმა ლ. ჯაფარიძემ და ბ-ნმა გ. დოხტურიშვილმა.

ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს წარმომადგნელების განმარტებით, ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილებიდან გამომდინარე, ცხოველთა (განსაკუთრებით, ძაღლების) პოპულაციების მართვის ყველაზე ჰუმანური მეთოდია კასტრაცია-სტერილიზაცია, რომლის ჩატარების შემდეგ, ცხოველის გარკვეული რაოდენობა ბრუნდება ბუნებრივ საცხოვრებელ გარემოში, რაც აღნიშნულ არეალში სხვა ცხოველების გაჩენის საფრთხეს ამცირებს. სააგენტოს წარმომადგენლებმა მაგალითად მოიყვანეს დიდი ბრიტანეთის გამოცდილება, როდესაც ძაღლების რაოდენობა ხელოვნური ჩარევით იმდენად შემცირდა, რომ მომრავლდნენ მღრნელები (განსაკუთრებით, ვირთხები), რამაც უფრო მეტი პრობლემა შეუქმნა მოსახლეობას.

აზრი გამოთქვეს:

ბ-ნმა გ. დოხტურიშვილმა და ბ-მა თ. შურღაიამ - მათ სამაჟორიტარო უბნებში, ხელოვნურსაფარიან სტადიონებზე ძაღლების შეყვანის აკრძალვის ნიშნის დაყენების მოთხოვნით მოქალაქეთა განცხადებების (მოთხოვნების) შესახებ და აღნიშნეს, რომ საკრებულოს მაჟორიტარ წევრებს მოსახლეობა მიმართავს თხოვნით, რათა გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები პატრონის მიერ საკუთარი ცხოველის (ძაღლი) მოვლა-პატრონობის დაცვის მიზნით.

შეკითხვა დასვა:

ბ-ნმა ლ. ჯაფარიძემ - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე განხორციელებული რეაგირების (ჯარიმების) შედეგად მიღებული თანხის ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს ბიუჯეტში ასახვის თაობაზე და განმარტა, რომ 2017 წლის სტატისტიკური მონაცემებით, მონიტორინგის სააგენტოს მიერ გაწეული ფასიანი მომსახურების შედეგად სააგენტოს მიღებული აქვს 21 205, 75 (ოცდაერთი ათას ორას ხუთი ლარი და სამოცდათხუთმეტი თეთრი) ლარი, ხოლო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირების შედეგად მიღებული შემოსავალი შეადგენს 10 712 (ათი ათას შვიდას თორმეტი) ლარს, რომელიც ირიცხება ბიუჯეტში. შესაბამისად, აღნიშნული თანხის სააგენტოს ბიუჯეტში გადატანით, სააგენტოს თითოეულ თანამშრომელს მეტი მოტივაცია გაუჩნდება, ხარისხიანად და ეფექტიანად წარმართოს საკუთარი საქმიანობა.

ბ-ნი ლ. ჯაფარიძე ასევე დაინტერესდა სააგენტოს ბიუჯეტის გაზრდისა და ალტერნატიული დაფინანსების მოძიების საკითხით. მან ყურადღება გაამახვილა ფასიანი მომსახურების სერვისზე, რომელიც განსაზღვრულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის №33-141 დადგენილებით მიღებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ გაწეული ცალკეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის წესით“ და აღნიშნა, რომ ბაზარზე არსებული კონკურენციიდან გამომდინარე, სააგენტო უნდა გახდეს კონკურენტუნარიანი, ამავდროულად, საჭიროა მოსახლეობის ინფორმირებაც სააგენტოს მიერ გასაწევი ფასიანი მომსახურების ხარისხისა და ფასის შესახებ.

ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს წარმომადგენელთა განმარტებით, ახალი ხელმძღვანელობის მისვლის შემდეგ გამოვლინდა, რომ იმ 12 თანამშრომელზე, რომლებიც ახორციელებდნენ პატრულირებასა და ცხოველების მოვლა-პატრონობის წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენას, მთლიანობაში (ჯამურად) გათვალისწინებული იყო 150 000 (ას ორმოცდაათი ათასი) ლარი შრომითი ანაზღაურების სახით. გარდა ამისა, ფასიანი მომსახურების სახით, იგივე, კერძო და/ან იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული ტერიტორიების რეპელენტებით (ქვეწარმავლების საწინააღმდეგო საშუალებებით) დამუშავების ღირებულება საკმაოდ მაღალია და შეადგენს 200 ლარს. აღნიშნული მიმართულებით სააგენტო გეგმავს საკრებულოს მიმართოს ინიციატივით, რათა გადაიხედოს და დაწესდეს ფასიანი მომსახურების ახალი (შემცირებული) ტარიფები.

აზრი გამოთქვეს:

ბ-ნმა ლ. ჯაფარიძემ, ბ-ნმა თ. შურღაიამ და ბ-ნმა გ. დოხტურიშვილმა, რომლებმაც წინადადებით მიმართეს ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს, რათა შეღავათიანი საფასურის, ან საერთოდ, ყოველგვარი საფასურის გადახდის გარეშე, წელიწადში ერთხელ მაინც სავალდებულო გახდეს ზოგადსაგანმანათლებლო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მიმდებარე ტერიტორიების რეპელენტებით (ქვეწარმავლების საწინააღმდეგო საშუალებებით) დამუშავება, მითუმეტეს, რომ საკითხი ეხება ბავშვების (სკოლის მოსწავლეებისა და ბაღის აღსაზრდელების) სიცოცხლესა და ჯანრთელობას.

ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს წარმომადგენელთა განმარტებით, 2015 წელს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გადაწყვეტილებით დედაქალაქის მასშტაბით, ტერიტორიების რეპელენტებით (ქვეწარმავლების საწინააღმდეგო საშუალებებით) დამუშავება დაევალა ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს და 2016 წლამდე, აღნიშნული სამუშაოების ფასიან მომსახურების სიაში შეტანამდე, საკმაოდ ბევრმა საჯარო სკოლამ თუ საბავშვო-ბაგა ბაღმა მოითხოვა რეპელანტებით ტერიტორიების დამუშავება. ხოლო 2016 წლის შემდეგ, როდესაც მომსახურება ფასიანი გახდა, მხოლოდ ორმა საჯარო სკოლამ მიმართა სააგენტოს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საკრებულოსა და კომისიის წვრებმა, ასევე, ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს წარმომადგენლებმა ისაუბრეს ცხოველების მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზეც, მათ შორის, სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებაზე, მაგალითად, უპატრონო ცხოველების კვებისა და დაწყურების პროგრამებზე, რომელიც საზღვარგარეთ მოსახლეობის მაღალი აქტიურობით გამოირჩევა.

ქ-ნმა თ. ნიბლოშვილმა ისაუბრა თურქეთის რესპუბლიკის მაგალითზე, სადაც უპატრონო ძაღლებისთვის ქუჩაში აშენებულია ე.წ. „ძაღლის სახლები“.

საკრებულოსა და კომისიის წევრების მიერ დაისვა ძაღლის ყოლის გადასახადის შემოღების, მოვლა-პატრონობის წესების დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების და ცხოველის ყოლის წესების დარღვევისთვის გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელების გამკაცრების აუცილებლობის საკითხი.

ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს წარმომადგენლების განმარტებით, ძაღლის ყოლის გადასახადის შემოღების შემთხვევაში, საფრთხის ქვეშ დგება თავად ცხოველი, რადგან შესაძლებელია პატრონმა, მოსაკრებლის გადახდის თავიდან აცილების მიზნით, ძაღლი გამოუშვას ქუჩაში. ხოლო თურქეთის რესპუბლიკის („პრინცის კუნძულები") გამოცდილებასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პირველ რიგში, საჭიროა საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება. იმის გათვალისწინებით, რომ მომრავლებულია უპატრონო ძაღლებისთვის „საჭდეების" (ბირკის) მოხსნის, ასევე, ამკრძალავი აბრების განადგურების ფაქტები, უპატრონო ცხოველებისთვის ქუჩაში თავშესაფრების (ე.წ. „ძაღლის სახლის") მოწყობა დიდ მატერიალურ ზარალთან იქნება დაკავშირებული.

სხდომის დასასრულს, სხდომის თავმჯდომარემ ბ-ნმა ლევან ჯაფარიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

ცნობად იქნას მიღებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ 2017 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა სრული უმრავლესობით

გადაწყვიტეს:

1. **ცნობად იქნას მიღებული** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ 2017 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ლევან ჯაფარიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ლევან ჯაფარიძე